საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №88
2015 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 08.07.2013, სარეგისტრაციო კოდი: 080240000.22.027.016435) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე, 142^1, 223–ე, 230-ე–235-ე, 252–ე, 308-ე–321^1, 322^1, 322^2, 323-ე-330^5, 331^1, 331^2, 343–ე, 345-ე, 346–ე, 351–ე და 404–ე-410-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე, 236–ე, 331-ე, 344–ე, 344^1, 353–ე, 353^1, 362–ე-364–ე, 370–ე, 373–ე, 374–ე, 375–ე და 376–ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1, 332-ე–335–ე, 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ (გარდა ამ დანართის მე-2 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**